

ლიტერატურის ისტორია

აკადემიკოსი კ. კეკელიძე

ძველი ლიტერატურის ძეგლთა გამომცემისათვის

სადავო არაა, რომ ძველი ქართული ტექსტების გამომცემისას დიდი სიფრთხილეა საჭირო. საქმე ისაა, რომ არასწორად წაკითხული და გაგებული ტექსტის საფუძველზე ხშირად ყალბი და შეუწყნარებელი 'დასკვნები კეთდება და უნიადავო თეორიები ითხზება ამა თუ იმ საკითხის შესახებ. ძველი ტექსტის გამომცემისას შეცდომა შეიძლება მოუფიქრეს არა მარტო ახლადდამწყებ მკვლევარს, ამისაგან არაა გარანტირებული მკაცრი ფილოლოგიური მეთოდებით შეიარაღებული სპეციალისტიც, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც გამოსაცემი ძეგლი unicum-ს წარმოადგენს. ამის სადემონსტრაციოდ ჩვენ გვინდა ვაჩვენოთ ორი ადგილი, რომელსაც მკვლევარები ხშირად მიმართავენ 'ხოლმე, როდესაც ქართულ ლიტერატურაში „ქალის კულტისა“ და სატრფიალო-სამიჯნურო მოტივების ძიებას ჰკიდებენ ხელს.

I

ერთი ამ ადგილთაგანი მოიპოვება გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრებაში“, სადაც ლაპარაკია, სხვათა შორის, ზენონ ხანძთელის შესახებ ([1], თავი XII, გვ. იზ-ის).

ზენონის სამშობლო იყო სამცხე, ის იყო შვილი გამოჩენილი და შეძლებული მშობლებისა, რომელთაც ზენონსა და მის ერთადერთ დას დიდი „მონაგები“ დაუტოვეს. ზენონს თავიდანვე ბერობა სურდა და გადაწყვეტილი ჰქონდა მთელი თავისი ქონება დისათვის დაეტოვებია. როდესაც ის „ამას განიზრახვიდა“, ამბობს ავტორი, „დაჲ იგი მისი ეშმაკისა განმარჯუებითა შეაცთუნა ვინმე უკეთურმან კაცმან. და ლამე ყოველ წარვიდის შავშეთს“ ([1], გვ. ის, სტრ. 13—15). ისმის საკითხი: ვინ „წარვიდის შავშეთს“? წინადადების აგებულება ისეთია, თითქოს აჰას ზენონის და სჩადის. ასე გაუგია ეს ადგილი თხზულებისა მის გამომცემელს, აკად. ნ. მარს, რომელიც შემდეგს თარგმანს იძლევა: пока Зенон размышлял об этом, некий недобрый муж соблазнил его сестру при содействии дьявола, и каждую ночь она уходила в Шавшетию ([1], გვ. 96, თავი XII, 12—14). გამოსულნი ტექსტის ისეთი გაგებიდან, მკითხველნი, მოსწავლენი და ხშირად მკვლევარნიც ლაპარაკობენ მეცხრე საუკუნის ქართველი ქალის ისეთ არაჩვეულებრივ ქატივობაზე სიყვარულის საქმეში, რომელიც ზღაპრების ამორძალთა გაბედულება-საქმიანობამდე მიდის. აქედან ფართო ასპარეზი ეშლება სხვადასხვაგვარ მოსაზრების ჩვენი წარსული ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებათა შესახებ.

ნამდვილად კი ასეთი გაგება მოყვანილი ადგილისა არაა სწორი. მართლაც, ყოველდღე სამცხიდან შავშეთს მოგზაურობა, ისიც ალბათ დაფარულად, არამც თუ ქალისათვისაა შეუძლებელი, ვაჩისათვისაც კი გაზვიადებული და გადამეტებულია. ეკვი არაა, ღამით მოგზაურობს ამ შემთხვევაში არა ზენონის და, არამედ ის კაბუკი, რომელსაც ეს ქალი შეყვარებია. თხზულებაში ვკითხულობთ: როდესაც ზენონმა გაიგო მისი ოჯახისათვის სააუგო ამბავი, „შეიტურვა საჭურველთა მარტოდ და ამკედრდა ცხენსა და დევნა უყო“ მისი მოკლვის მიზნით. ვის „უყო დევნა“, თავის დას? დასთან ანგარიშის გასასწორებლად რა საჭირო იყო ღამე დადევნება, განა სახლში არ შეედლო, როდესაც მონღოლებმა, გასწორებოდა მის? აქ რომ, მართლაც, საქმე ვაჟთან გვაქვს, მომდევნო სიტყვებიდან მელაენდება: „და ვითარ დიდი ქუეყანაა ვლო, თქუა გულსა თვისსა ვითარმედ: ვარ მე კაბუკსახელოვან და რომელსა ვსდევ, ფრიად შეურაცხ არს; დალაცათუ ვეწიო და მოვკლა, საბრკე არს სულისა ჩემისაჲ, და უკუეთუ ცუდად უკუნვიქე სახიდ ჩემდა, სირცხვილეულ არს ჩემდა“ ([1], გვ. იმ, სტრ. 16—20). აქ ზენონს უცილობლივ ვაჟი ჰყავს მხედველობაში: მე სახელოვანი კაბუკი, რაინდი, ვარ, ამბობს გულში ის, ის კი, რომელსაც ვსდევ, „ფრიად შეურაცხ არს,“ როგორ გაუყადრო მას თავიო? სხვანაირი გაგება ამ ადგილისა შეუძლებელია. ასე რომ „ღამე ყოველ“ სამცხესა და შავშეთს შორის სამიჯნურო გზას სტკეპნიდა არა ზენონის და, არამედ მისი მოტრფიალე კაბუკი. მაშასადამე, ნაჩვენებ ადგილას ტექსტი დამახინჯებულია, ეს დამახინჯება მომხდარა 951 წლის შემდეგ მეთორმეტე საუკუნემდე, როდესაც გადაწერილია დედანი გამოცემისა. თხზულება ერთ-ერთი ხელნაწერით შემონახულა ჩვენამდე, ამიტომ მოკლებული ვართ საშუალებას სხვა ხელნაწერებით შევიმოწმოთ საცილობელი ადგილი. ვფიქრობთ, ავტორის ხელიდან ეს ადგილი დაახლოებით შემდეგი სახით გამოვიდა: „და დაჲ იგი მისი ეშმაკისა განმარჯუებითა შეაცთუნ, ვინმე უკეთურმან კაცმან [რომელი] ღამე ყოველ წარვიდის შავშეთით [სამცხეს]“.

II

მეორე ასეთი საცილობელი ადგილი მოიპოვება თხზულებაში, რომელსაც „სიბრძნე ბალაჰვარისი“ ეწოდება [2]. აქ გადმოცემულია, სხვათა შორის, შემდეგი ეპიზოდი ([2], გვ. 60): როდესაც მამამ გაიგო, რომ მისმა შვილმა, იოდასაფმა, ამკვეყნიურ ცხოვრებაზე ხელი აიღო მთლიანად და, როგორც ქრისტიანი ასკეტი, საიქაოზე ფიქრობს, საქმის შემობრუნება მოინდომა. მას ურჩიეს—შვილი მოექცია ქალთა წრეში, რომელიც შესძლებდა დაევიწყებინა მისთვის „საუკუნოჲ“ და შეეყვარებინა „საწუთროჲ“. მამამ მართლაც, „გარდაადგინნა ყრმანი მსახურნი და მათ წილ დაადგინნა დედანი ქმნილეთილნი“, რომელთაც დაავალა—ყოველი ღონე ეხმარათ მისი შვილის შესაცთუნებლად. ამ ქალთა შორის განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩეოდა ერთი „ასული მეფისაჲ“, ოდესღაც ტყვედ წამოყვანილი, რომელიც იოდასაფს „ფრიად უყუარდა სიბრძნისა და გონიერებისა მისისათვის და ასწავებდის მას სჯულსა ქრისტესსა“. ეს ქალი ეუბნება იოდასაფს: შენ თუ გინდა ჩემი მოქცევა ან გაქრისტიანება, იცხოვრე ჩემთან ერთი წელიწადი, თუ ეს დიღია,—

ერთი თვე, თუ გინდა ერთი ღამე! იოდასაფის წინაშე დასმულია მძიმე დი-
ლემა: ან დაუთმოს ხორცს, თუგინდ მცირე ხნით, და ამით ქრისტეს ახალი
მიმდევარი შესძინოს, ან თავი შეიკავოს და ქრისტეს მორწმუნე დაუყარგოს.
თავის შეკავებას ებრძვის არა მარტო სურვილი ქალის გაქრისტიანებისა, არამედ
ისიც, რომ იოდასაფს. „შეაშთობდეს გულის-სიტყუანიცა“, ესე იგი—მისში
გაიღვიძა ადამიანურმა. ხორციელმა სურვილმაც. ვაჟმა არ იცის, როგორ მო-
იქცეს, ის შეწუხებულია ძალზე. ბოლოს, ნათქვამია ზოგიერთ ხელნაწერში,
აქედან გამოცემაშიც, „იოდასაფ მიდრკა ნებასა ქალისასა“ ([2], გვ. 68, სტრ.
12), ესე იგი — დაუთმო ხორცს, დაეცა, ფაქტიურად შესცთა.

როდესაც ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში ასკეტიზმის არაბუნებრი-
ვობასა და ქალის მომჯადოებელ ყოვლის-შემძებლობაზე ლაპარაკობენ, ხშირად
ამ ადგილსაც უჩვენებენ: ქალის წინაშე უძლური აღმოჩნდა ისეთი ასკეტიც კი,
როგორც იყო იოდასაფი, ის შესცთა, დაეცა არა მარტო გულში, არამედ
ფაქტიურადაც. ასკეტიზმი რომ არაბუნებრივი მოვლენაა, ეს სადავო არაა, მაგ-
რამ მოყვანილი ადგილი ასეთი დასკვნის საშუალებას არ იძლევა, იოდასაფი
ფაქტიურად არ დაცემულა; ეს ადგილი დამახინჯებულია იმ ხელნაწერში, რომ-
ლის მიხედვით ის გამოცემულია. ეს რომ ასეა, შემდეგიდან ჩანს. შემდგომ
სიტყვებისა: „ხოლო იოდასაფ მიდრკა ნებასა ქალისასა“, ნათქვამია: იოდასა-
ფი „ილოცვიდა ღმრთისა მიმართ, რადთა აუწყოს უმჯობესი“ ([2], გვ. 68,
სტრ. 15—16), ესე იგი—როგორ მოიქცეს. თუ ის უკვე დაეცა და შესცთა ფაქ-
ტიურად, რაღა აზრი ჰქონდა ლოცვას, რომ ღმერთმა მას „უმჯობესი“ აუწყ-
ყოს? მეორე: იოდასაფს ჩაეძინა, ძილში მან იხილა საშვებელნი სამოთხისანი
და სატანჯველნი ჯოჯოხეთისანი. როდესაც გამოეღვიძა, ის გონებით განიც-
დიდა, ერთი მხრით, სამოთხის შვებას, მეორე მხრით, ჯოჯოხეთის სიმწარეს,
და აღიდებდა ღვთის მოწყალებას, „რომელმან არა მისცა შთაგდებად მთხრე-
ბელსა ცოდვისასა“ ([2], გვ. 68, სტრ. 27—28). აქ პირდაპირაა ნათქვამი, რომ
იოდასაფი არ ჩავარდნილა ცოდვის ორმოში, ესე იგი ფაქტიურად ის არ და-
ცემულა.

მაშ როგორ უნდა ყოფილიყო თავდაპირველ დედანში? იოდასაფის
გულში ორი საწინააღმდეგო გრძნობა იბრძოდა. ის მერყეობას განიცდიდა.
ამიტომ ამ ადგილას მოსალოდნელია: „ხოლო იოდასაფ კნინლდა მიდრკა ნებასა
ქალისასა“, ესე იგი—კინალამ გადაიხარა ქალის ნებისაკენ მისი შესრულების მიზ-
ნით. ეს რომ ასეა, ჩანს თხზულების მოგვიანო ხელნაწერებიდან, სადაც ვკით-
ხულობთ: „ხოლო იოდასაფ მიდრკა კნინლა ნებასა ქალისასა“ ([2] გვ. 105).
მოგვიანო დროის ხელნაწერის მონაცემი ყოველთვის უარსაყოფი ირავ, ხშირად
ის უფრო სწორ წაკითხვას იძლევა, ვიდრე შედარებით უძველესი დროისა.

ასეთი უნდა იყოს, ჩვენი აზრით, ამ ორი ადგილის წაკითხვა-გაგება და
ამასთან დაკავშირებით მათი ამა თუ იმ მიზნისათვის გამოყენება.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
თბილისი

(შემოვიდა რედაქციაში 7.7.1942)

Академик К. КЕКЕЛИДZE

К ВОПРОСУ ОБ ИЗДАНИИ ПАМЯТНИКОВ ДРЕВНЕЙ ЛИТЕРАТУРЫ

Резюме

В работе дается исправление двух мест (из «Жития Григория Хандзтели» и «Мудрости Балавара»), неточно изданных, а вследствие этого неправильно понимаемых и не кстати используемых при трактовке тех или иных проблем истории древнегрузинской литературы.

Академия Наук Грузинской ССР
Институт грузинской литературы

ციტირებული ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. Житие Григория Хандзтийского (Тексты и разъяснения по армяно-грузинской филологии, кн. VII), издание Н. Я. Марра.
2. სობრძეშ ბალავარისი, დოც. ი. აბულაძის გამოცემა, ტფილისი, 1937.